მოწინააღმდეგეს ფეხზე უკბინა - ვიდეო
სამშაბათი, 03 სექტემბერი 2013 14:04

ბრაზილიის ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში ორგანიზებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ძიუდოში ერთი ერთზე ბრძოლის დროს ქართველმა სპორტსმენმა ვარლამ ლიპარტელიანმა უჩვეულო მეთოდს მიმართა.
დაძაბული ბრძოლის შემდეგ გუნდური შეჯიბრის ბრძოლაში 90 კგ წონით კატეგორიაში მებრძოლმა ლიპარტელიანმა რუს სპორტსმენს კირილ დენისოვს ფეხზე უკბინა. ეს ეპიზოდი კი

ვიდეოკლიპის მეოთხე (3:41) წუთზე ჩანს.
მეტოქის ასეთმა ტაქტიკამ დენისოვი არამარტო დააბნია, არამედ ბრძოლაში დამარცხებაზეც იმოქმედა.
საერთაშორისო წესების თანახმად, ასეთი ქცევა წესის დარღვევაა და მსაჯებს ეს უნდა გაეთვალისწინებინათ. თუმცა ამ შეხვედრის შემდეგ გუნდური ანგარიშის თანახმად ქართველებმა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგეს. რუსული ნაკრები კი მე-2 ადგილით დაკმაყოფილდა. შეჯიბრის შემდეგ დენისოვმა განაცხადა, რომ ამგვარი ქცევის გამო სპორტსმენი დაუყოვნებლივ უნდა დისკვალიფიცირდეს.
"მსაჯების გადაწყვეტილების ახსნა შეუძლებელია".
მიუხედავად იმისა, ლიპარტელიანმა შეჯიბრის შემდეგ მისი ქცევის გამო მეტოქეს ბოდიში მოუხადა.

{youtube}nOqPjsJgLoA{/youtube}

1 / 2

მოწინააღმდეგეს ფეხზე უკბინა - ვიდეო სამშაბათი, 03 სექტემბერი 2013 14:04

2 / 2